

მაძიებელი გმირი მოდერნისტულ და პოსტმოდერნისტულ რომანში

ლელა ნოზაძე

*სამაგისტრო ნაშრომი წარდგენილია ილიას სახელმწიფო
უნივერსიტეტის მეცნიერების და ხელოვნების ფაკულტეტზე
შედარებითი ლიტერატურათმცოდნეობის მაგისტრის აკადემიური
ხარისხის მინიჭების მოთხოვნების შესაბამისად*

პროგრამა

შედარებითი ლიტერატურათმცოდნეობა

სამეცნიერო ხელმძღვანელი: ბელა წიფურია,
ფილოლოგიურ მეცნიერებათა დოქტორი

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

თბილისი, 2016

განაცხადი

როგორც წარდგენილი სადისერტაციო ნაშრომის ავტორი, ვაცხადებ, რომ ნაშრომი წარმოადგენს ჩემს ორიგინალურ ნამუშევარს და არ შეიცავს სხვა ავტორების მიერ აქამდე გამოქვეყნებულ, გამოსაქვეყნებლად მიღებულ ან დასაცავად წარდგენილ მასალებს, რომლებიც ნაშრომში არ არის მოხსენიებული ან ციტირებული სათანადო წესების შესაბამისად.

ლელა ნოზაძე

27.06.2016

აბსტრაქტი

წინაპირობა: წინამდებარე ნაშრომის მიზანია მაძიებელი გმირების ჩვენება ლიტერატურულ ტექსტებში და ფილმებში. კერძოდ რომანებში: მაქს ფრიშის „Homo Faber“, ჯეკ კერუაკის „გზაზე“, კონსტანტინე გამსახურდიას „დიონისოს ღიმილი“ და რეჟისორ მიქელანჯელო ანტონიონის ფილმებში: „ღამე“ და „წითელი უდაბნო“.

მეთოდოლოგია: ნაშრომში მაძიებელი გმირის პრობლემა ნაჩვენებია შესაბამის კულტურულ-ნაციონალურ კონტექსტებთან მიმართებით. ტექსტები გაანალიზებულია შედარებითი კვლევების მეთოდით.

შედეგები: აღნიშნულმა კვლევამ აჩვენა, თუ როგორ გაიაზრებენ განსვავებული კულტურულ-პოლიტიკური სისტემების ფარგლებში მოღვაწე ავტორები და რეჟისორი შინაგანი ძიებების პრობლემას. მიუხედავად იმისა, რომ განსხვავებულია ინდივიდზე სოციუმისა და სისტემის ზემოქმედების ფორმები, რომანებს და ფილმებს აერთიანებს: ინდივიდის მიერ შინაგანი ჭეშმარიტების მოპოვებისადმი სწრაფვა. ცხოვრების გზებზე ხეტიალი და სულიერი მიზნების ძიება რომანებში და ფილმებში პარალელურად იკვეთება.

დასკვნა: ცხოვრების არსის შეცნობა, სულიერი ჭეშმარიტების მოპოვება კვლავაც რჩება ცენტრალურ პრობლემად იმ ტექსტებში და ფილმებში, რომლებიც მოდერნისტულ გამოცდილებას ეფუძნება და პოსტმოდერნისტულ ეპოქას შეიძლება მივაკუთვნოთ.

ძირითადი საძიებო სიტყვები: მაძიებელი გმირი, გზებზე ხეტიალი, შინაგანი ჭეშმარიტება, ბიტ-თაობა, ამერიკული ლიტერატურა, მოდერნიზმი და პოსტმოდერნიზმი.